ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება, როგორც განმსაზღვრელი ძალა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების საგარეო ვექტორის

საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიკის ერთ-ერთ მთავარ საკითხს ურთიერთდამოკიდებულება და მისი როლი ქვეყნების პოლიტიკურ ორიენტაციაზე წარმოადგენს.

საინტერესოა, განვიხილოთ ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება, როგორც ძალა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების საგარეო ვექტორის განმსაზღვრელი, წარმოვაჩინოთ აღმოსავლეთ პარტნიორობის ექვსი სახელმწიფოს ეკონომიკური კავშირები და ამ კავშირების შედეგად მიღებული პოლიტიკური გადაწყვეტილებათა შედეგი.

ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება და მისი თეორიული ჩარჩო

ურთიერთდამოკიდებულების თეორია საერთაშორისო პოლიტიკაში **რობერტ კიოჰანის** და **ჯოზეფ ნაის** სახელს უკავშირდება. სწრედ ისინი იყვნენ პირველნი, რომლებმაც საერთაშორისო ურთიერთობების ტრადიციული თეორიული ჭრილიდან აქცენტი მეტწილად ეკონომიკურ ურთიერთდამოკიდებულებასა და მის პოლიტიკურ გავლენებზე გააკეთეს. თუკი გასულ საუკუნეში რეალიზმის სკოლა მთლიანად დომინირებდა საერთაშორისო ურთიერთობების თეორიულ სკოლათა რიგებში, დღეს გვაქვს განსხვავებული რეალობა. ერთი ქვეყნის პრობლემა, მხოლოდ მის პრობლემად აღარ რჩება - იგი ეხება ყველა იმ პარტნიორ ქვეყანას, რომლებიც თანამშრომლობენ პირველ აღნიშნულთან.

კოიჰანი და **ნაი** ურთიერთდამოკიდებულების ძალის სამ სახეს გამოყოფენ:

- **ძალაზე ორიენტირებული ურთიერთდამოკიდებულების პოლიტიკის ანალიზი;**
- **კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულება;**
- **ურთიერთდამოკიდებულების ეფექტური ურთიერთობა;**[1]

თუკი, აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს მსგავსი პერსპექტივით შევხედავთ, შევამჩნევთ, რომ ურთიერთდამოკიდებულების ხარისხი რუსეთთან და ევროკავშირთან მიმართებით საკმაოდ განსხვავებულია. რაც თავის მხრივ, მათ მიერ მიღებულ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე პირდაპირპროპორციულად აისახება.

შეგვიძლია შევაფასოთ, რომ რუსეთის ეკონომიკური ბერკეტები ბელარუსსა და სომხეთზე ძალაზე ორიენტირებული ურთიერთდამოკიდებულების პოლიტიკის ანალიზის ჭრილში თავსდება. ევროკავშირისა და ასოცირების ხელშეკრულების ქვეყნებს შორის კი საქმე გვაქვს ასიმეტრიულ ურთიერთდამოკიდებულებასთან.

აღმოსავლეთ პატრნიორობის ქვეყნები

თავდაპირველად, აღმოსავლეთ პარტნიორობის პოლიტიკის შექმნის იდეა წამოყენებულ იქნა პოლონეთისა და შვედეთის მიერ. პოლიტიკამ სრულყოფილი სახე ჩეხეთის რესპუბლიკის ინიციატივით მიიღო. როგორც ერთიანი წინადადება აღმოსავლეთ პარტნიორობის პოლიტიკა, ევროკავშირის საგარეო

1 Koehen and Nye, Power of interdependence Revisited, International organization, Volume 41, Issue 4, (Autumn 1987) 728.



საქმეთა მინისტების მიერ 2008 წლის 26 მაისს იქნა გაჟღერებული.[1] აღმოსავლეთ პარტნიორობის მთავარ მიზანს წამოადგენს:

- **პოლიტიკური ასოცირება;**
- **ეკონომიკური ინტეგრაცია;**
- **მობილობა;**
- **გაძლიერებული სექტორული თანამშრომლობა;**

აღსანიშნავია, რომ პარტნიორობის ექვსი ქვეყნიდან (საქართველო, მოლდოვა, უკრაინა, სომხეთი, აზერბაიჯანი და ბელარუსი) მხოლოდ სამი მათგანის რეალურ ინტერესს წარმოადგენს ევროინტეგრაცია და პარტნიორობა. მარტივად შეგვიძლია გავყოთ პარტნიორობის ქვეყნები ორ ჯგუფად. პირველ ჯგუფში გავაერთიანოთ ასოცირების ხელშეკრულებას ხელმოწერილი საქართველო, უკრაინა, მოლდოვა, ხოლო მეორე ჯგუფს მივაკუთვნოთ: სომხეთი, ბელარუსი და აზერბაიჯანი. თუკი მათ ეკონომიკურ მდგომარეობასა და ურთიერთდამოკიდებულებას შევადარებთ ერთმანეთს, სრულიად განსხვავებულ სახეს მივიღებთ და დავინახავთ ეკონომიკური დამოკიდებულების ზეგავლენას პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებაზე.

ა) საქართველო, უკრაინა, მოლდოვა

საქართველო, უკრაინა, მოლდოვა ყოფილი საბჭოთა ქვეყნებიდან იმ კატეგორიას მიეკუთვნება, რომლებიც თავის დროზე რუსეთზე სრული ეკონომიკური დამოკიდებულებისდა მიუხედავად წლების განმავლობაში ცდილობდა ეკონომიკის ევროპული ბაზრისთვის მიბმას. დღესდღეობით მოლდოვას ექსპორტისთვის მთავარ დესტინაციას რუმინეთი წარმოადგენს, მას მოჰყვება რუსეთი, იტალია, გაერთიანებული სამეფო, ბელარუსი და გერმანია.

რაც შეეხება იმპორტის მხრივ მთავარ პარტნიორებს პირველ-მეორე ადგილს აქაც რუმინეთი-რუსეთი ინაწილებს. რუმინეთი-რუსეთის ეკონომიკური კავშირები მოლდოვას პოლიტიკურ ამინდზეც ჰპოვებს ხოლმე ასახვას. მიუხედავად იმისა, რომ მოლდოვა, რუმინეთის გავლენითა და ლობისტობით, ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციას განაგრძობს, რუსული რბილი ძალის გავლენა შიდა პროცესებში შესამჩნევად დიდია.

საქართველოსთვის ექსპორტის თვალსაზრისით, რუსეთი ნომერ პირველ ქვეყანას აღარ წარმოადგენს, ამ სფეროში ჩინეთი გაცილებით მაღალი მაჩვენებლით ხასითდება; რაც შეეხება იმპორტს, 2016 წლის იანვრის მონაცემებით, ნომერ პირველ ქვეყანა თურქეთია, რუსეთი აქაც მეოთხე-მეხუთე ადგილს სჯერდება. რაც სერიოზულად იმედისმომცემლად გამოიყურება ქართული ეკონომიკის იმპორტ-ექსპორტის დივერსიფიკაციის თვალსაზრისით.


უკრაინის შემთხვევაში, რუსეთ-უკრაინის კონფლიქტიდან გამომდინარე ორივე მხარემ აკრძალა ერთმანეთის პროდუქტების ქვეყანაში შეტანა, ამ მხრივ რუსეთის მხრიდან უკრაინაში ეკონომიკური ბერკეტის გამოყენება, ომის პირობებში შეზრუდულია. რაც უკრაინას ეკონომიკური თვალსარისით შეიძლება ვნებდეს, თუმცა მეორე მხრივ, მეტ პოლიტიკურ თავისუფლებას სთავაზობს მას.


ბ) სომხეთი, ბელარუსი, აზერბაიჯანი

რუსეთი ზემოაღნიშნული სამივე ქვეყნისთვის მთავარ დასაყრდენ ეკონომიკურ პარტნიორს წარმოადგენს. რუსეთი სომხეთის მთავარი სავაჭრო პარტნიორია, რომელსაც იმპორტის თვალსაზრისით უფრო მეტი საქონელი შეაქვს სომხეთში, ვიდრე ევროკავშირის 28 სახელმწიფოს ერთად აღებულს.[2]

1 **Rahim Rahimov, The European Union's Eastern Partnership and energy security issues, Hult International Business School London, UK - 2010.**

2 ხელმისაწვდომია: http://trade.ec.europa.eu/doclib/docs/2006/september/tradoc_113345.pdf, ნანახია :27.09.2016





აზერბაიჯანის იმპორტ-ექსპორტის თვალსაზრისით ევროკავშირის ქვეყნების ჯამი მეტია რუსეთის მიერ მთლიან სავაჭრო ბრუნვაზე, თუმცა რუსული ბაზარი და ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება მაინც თვალშისაცემია, რაც თვალნათლივ აისახება აზერბაიჯანის პოლიტიკაზე. დღეს, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ აზერბაიჯანი არ არის არც პრორუსული და არც ანტირუსული. ის ინარჩუნებს რუსეთთან იმგვარ ურთიერთობას, რომ არ მოუწიოს საკუთარი ეკონომიკის, პოლიტიკის, საგარეო ურთიერთობების კრემლის მოთხოვნებზე შეწირვა.[1]

რაც შეეხება ბელარუსს, 2015 წლის მონაცემებით, იმპორტ-ექსპორტის თვალსაზრისით, რუსეთი უპირობო ლიდერია.[2] რითაც, რუსული გავლენა და ფედერაციის ბერკეტები ბელარუსზე პოლიტიკური გავლენის მოსახდენად ძალიან დიდია.

რუსეთის ეკონომიკური ბერკეტი

ბოლოდროინდელი მოვლენებიდან, რუსეთის მიერ ეკონომიკური ბერკეტების გამოყენების საშიშროებით, პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების ნათელი მაგალითია **ევრაზიული კავშირი,** რომელიც რომ დასაწყისშივე მკვდრადშობილი იდეაა. მიუხედაად აშკარა კრახისა, რაც ბოლო წლებში ევრაზიული კავშირის წევრების ერთიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებლის უკიდურესმა დაღმასვლამ აჩვენა, აღმოსავლეთ პარტნიორობის ორი ქვეყანა (სომხეთი და ბელარუსი) ვერ იღებენ პოლიტიკურ გადაწყვეტილებას დატოვონ გაერთიანება.

აზერბაიჯანთან (ყარაბაღის კონფლიქტზე) და თურქეთთან (სომხების გენოციდის საკითხზე) დაძაბული ურთიერთობების ფონზე, სომხეთის მთავარი პარტნიორი რეგიონში რუსეთიღა რჩება. სომხეთი ბოლომდე ეცდება სტრატეგიული პარტნიორის გულის მოგებასა და რუსულ პოლიტიკურ ორბიტაზე ადგილის შენარჩუნებას.

ანალოგიური სიტუაცია, გვაქვს ბელარუსთან მიმართებით. მთავარი პარტნიორის გაღიზიანებას ლუკაშენკოს რეჟიმიც ერიდება და ცდილობს შეძლებისდაგვარად ფეხი აუწყოს რუსეთის ფედერაციის საგარეო ინტერესებს.

ყოველივე ზემოთგანხილულის ფონზე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ურთიერთდამოკიდბეულების დონე, რეგიონის აქტორებთან მიმართებით, განსხვავებულია. ზოგადად, რომ პატარა ქვეყნების პოლიტიკური პოზიცია დამოკიდებულია მათი მთავარი ეკონომიკური პარტნიორის პოზიციებზე და არა მათსავე სურვილზე ესეც შესამჩნევი ტენდენციაა.

ეკონომიკური ბერკეტების გამოყენებით, ზეგავლენის არიდების ყველაზე სწორი გზა ალბათ, პარტნიორების მაქსიმალური დივერსიფიკაცია და ერთ რეგიონალურ აქტორზე დამოკიდებულების შემცირებაა.

მარიამ გრიგალაშვილი,
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორანტი

1 Cornell, Svante E. Azerbaijan Since Independence New York: M.E. Sharpe, 2011.335p

2 ხელმისაწვდომია: http://trade.ec.europa.eu/doclib/docs/2006/september/tradoc_113351.pdf ნანახია:27.09.2016

RESUME

Today one of the main subjects of International Relations and International political Economy is the interdependence and its role in the policy of countries. After the collapse of the Soviet Union, situation of International sphere was dramatically changed. The central European societies, the former Baltic republics of the USSR, central Asian countries, Georgia, Armenia and Azerbaijan had to make serious decisions not only in the entire affairs but also in foreign relations. The paper, Economic interdependence as a driving force of Eastern Partnership countries' foreign orientations –discusses some of the main points. it introduce theoretical background about interdependence and try to confirm its influence (if it exists) over the relations with EU, Russia and Eastern Partnership countries.

Russia's economic levers in Armenia-Azerbaijan-Belarus do not allow them to escape from the Russian orbit. As for Georgia-Ukraine-Moldova, their examples show us how important is to diversify economic partners and reduce economic dependence on one regional actor.